საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზედგინიძე ალა გიორგის ასული

ზედგინიძე ალა გიორგის ასული (დ. 16. II. 1941, თბილისი), ჰემატოლოგი, გენეტიკოსი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1999). 1964 დაამთავრა თსსი. 1965-იდან მუშაობს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე. იყო სსრკ-ის მეცნ. აკად. გენეტიკისა და სელექციის საბჭოს სიმსივნის გენეტიკის სექციის წევრი (1982-იდან), ჰემატოლოგიის საკავშ. პრობლემური კომისიის ექსპერტი. 1989-იდან ხელმძღვანელობს ამავე ინ-ტში თავისსავე ჩამოყალიბებულ ლაბორატორიას, სადაც აწარმოებს ონკო-გენეტ. კვლევებს. 1997-იდან ზ-ის ინტერესის სფეროა რადიაციული გენეტიკა. 1999–2006 იყო თსსუ-ის ჰემატოლოგიის კათედრის პროფესორი. ზ-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებაა ლეიკოზისწინარე მდგომარეობისა და ლეიკოზის განვითარებისას გენეტ. აპარატის დარღვევების გამოვლენა. ზ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 3 გამოგონების, 4 მეთოდური რეკომენდაციისა და 1 სახელმძღვანელოსი.